ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში მდებარე #1 შენობის (ს/კ - 28.23.21.561) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის წესი“-ს მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში მდებარე #1 ნაგებობის (ს/კ - 28.23.21.561) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. 4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.